8. კიბის მოსაბრუნებელი ბაქნები იყო კვადრატული ფორმის და გახდა ტრაპეციის ფორმის.

9. კეთილმოეწყო ვიზიტორთა ცენტრის ფილამდე ჩასასვლელი სამანქანო გზა.

10. დაემატა ავტოსადგომიდან ვიზიტორთა ცენტრთან ჩამავალ გზასთან დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკი 66.46 კვ.მ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 93-ე, 94-ე. 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100, 103-ე, 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ;

1. შეტანილ იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, (თეთრა მღვიმის ბუნებრივი ძეგლი) შპს „თეთრა ჯგუფი“-ს სარგებლობაში (იჯარა) არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.34.052; მე-2 კლასი, 294.08 კვ.მ) ვიზიტორთა ცენტრის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 ოქტომბრის №31 2946 ბრძანებით, ექსპლუატაციში მიღებული ობიექტის სამშენებლო დოკუმენტში, კერძოდ:

1. ვიზიტორთა ცენტრის ფილის თავზე, ფეხით სასიარულო ბილიკების მოწყობა რკინა ბეტონით 45,8 კვ.მ.

2. შეიცვლება სანიტარული კვანძის შენობაში (საპირფარეშოებში) განთავსებული სველი წერტილების განლაგება.

3. ვიზიტორთა ცენტრის 0.00 ნიშნულზე მოიხსნება სალაროს, მენეჯერის ოთახისა და კომერციული სივრცის გამყოფი ტიხრები და გადაიქცევა ერთიან სივრცედ.

4. ვიზიტორთა ცენტრის 0.00 ნიშნულზე დაემატება გარე სანიაღვრე ორმო:- სიგრძე 5.95 მ. სიგანე 0.40 მ.

5. შეიცვლება მღვიმეში შესასვლელი ცენტრალური კარის განთავსების ადგილი, კერძოდ განთავსდება სამხრეთის მიმართულებით 2 მეტრით უკან.

6. ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ტიხარი გადავა სალაროს მხარეს.

7. ვიზიტორთა ცენტრის ფილიდან 0.00 ნიშნულზე ჩასასვლელ კიბესთან, მიწის გამაგრების მიზნით დაემატება რკინა-ბეტონის კედელი.

8. კიბის მოსაბრუნებელი ბაქნები იყო კვადრატული ფორმის და გახდება ტრაპეციის ფორმის.

9. კეთილმოეწყობა ვიზიტორთა ცენტრის ფილამდე ჩასასვლელი სამანქანო გზა.

10. დაემატება ავტოსადგომიდან ვიზიტორთა ცენტრთან ჩამავალ გზასთან დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკი 66.46 კვ.მ.